DOI: 10.67363/c5ez7h93

Dachi De Graff
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student, St Dimitri Kipiani College

Diogenes Club of Silence

(Abstract)

KEYWORDS: Silence, Speech, Georgia, Linguistic Identity, Historical Figures, Heritage, Diogenes Club

Solomon, king of the united kingdom of Israel, is often regarded as the most intelligent person to have lived: he is the only man described as exceptionally wise across the Old Testament, the Quran and the Hadiths. The tenth-century author George Merchule opens his *Life of Gregory of Handzta* with a proverb attributed to Solomon: "Speech is silver, but silence is golden."

A contemporary teenager is asked to study a lengthy hagiographical text of old Georgian literature for a month, memorising numerous names and narrative particulars. When the intellectual struggle with tenth-century syntax is finally overcome, and the course is duly passed, a moment of logical satisfaction follows: without Gregory of Handzta – a Georgian monk active in the late eighth and early ninth centuries – modern Georgia might not exist. If someone suggests, jokingly, that a more developed state could have become the homeland of the people who have occupied this territory for nearly three millennia, a young Georgian can reply because George Merchule chose "speech" over "silence" and recorded the story of "the man of heaven and the angel of the earth."

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Elder Gregory of Handzta is a central historical figure whose efforts were instrumental in preserving Georgia's independence, despite the country's ongoing political and economic challenges. Thanks to this zealous reformer, Georgians still light candles in the churches and cathedrals of their forebears and worship in a language that has changed little over the centuries. The testamentary maxim "Homeland, Language, Religion," attributed to St Elijah the Righteous (born as Ilia Chavchavadze), has endured into the twenty-first century and, by various routes, Georgia remains independent, with sovereignty recognised by the Group of Seven and the overwhelming majority of the international community. Many stateless peoples, far larger than the Georgians, aspire to and struggle for similar recognition.

The Kurdish population, estimated at between 30 and 45 million, inhabit their traditional homeland across c. 50,000 square kilometres; they possess a distinct language and rich culture but lack statehood because Kurdistan was partitioned among Turkey, Iran, Syria, and Iraq. A similar fate has befallen the descendants of the Assyrian civilisation, whose homeland was divided by the same states, leaving some 3.3 million Assyrians as minorities in their ancestral region.

Other indigenous peoples enduring political statelessness include: c. 76 million Tamils, c. 27 million Sikhs, c. 16 million Occitans, c. 15 million Uyghurs, c. 12 million Zulu, c. 8 million Mon, c. 8 million Circassians, c. 7 million Maya, c. 6 million Riffians, c. 6 million Shan, c. 5.6 million Kashmiris, c. 3 million Basques, c. 2 million Chechens and fewer than 0.5 million Ingush, among others.

The Tibetans, who live on the "roof of the world," have experienced a comparably tragic history. Under the guise of the

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

"peaceful liberation of Tibet," the homeland of the Dalai Lama became incorporated into the People's Republic of China; the process was so thorough that the international community was unable to intervene effectively. In 1951, the annexation of Tibet by the PRC resulted in substantial loss of life, the destruction of monasteries and the imprisonment of many; estimates suggest up to 1.2 million deaths and the destruction of thousands of monasteries. The post-war international order lacked either the will or the capacity to resist, and Tibet was formally recognised as Chinese territory. As China has grown into a global power, few states are willing to challenge Beijing regarding a seventy-year-old event. In March 2020, Qin Gang, who has been a senior foreign ministry official since 2018, asserted that "there is no absolute freedom in any place in the world."

Some actors rewrite the past to suit their interests; others are silenced by political correctness. Some politicians speak candidly and act accordingly; others refrain from insensitive remarks and practise cautious silence. Such double standards are widely accepted in principle. In this context, despite domestic problems, officially being recognised by the rest of the world as a citizen of Georgia remains a significant advantage: no one can be certain what the future will bring.

The twelfth-century Georgian poet Shota Rustaveli wrote that "sometimes speech is better than silence, sometimes by speaking we spoil (things)." Choosing the appropriate moment to speak is essential when the future of a people is at stake. The Kurds and the Tibetans were unfortunate in this regard. The Jews might have suffered a similar fate had they not been subject to the horrors of Nazism; the state of Israel was declared on 14 May 1948, whereas Kurdish aspirations suffered another setback on 15

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

December 1946. In practice, realised ambitions seldom produce unequivocally happy endings; Palestine, which remains the most intractable of eastern conflicts, exemplifies this complexity. One might wonder whether the wise King Solomon would comment on such matters or remain silent.

"Silver peech or golden silence? To speak, or not to speak? That is the question." Every human life confronts this dilemma. The answer varies according to circumstance.

Clerical traditions have often prized silence. The fourteenth-century English hermit and mystic Richard Rolle of Hampole observed in his commentary on The Psalter that "disciplyne of silence is goed, that we auyse vs or we speke" (on Psalm CXVIII from a 1340 manuscript). The principle echoes Solomon's proverb but in a more generalised form.

The proverb's origin is obscure – its authors and early transmitters kept silent about it – yet its counsel remains universally resonant. Consequently, the maxim endures in everyday language and in contemporary digital discourse.

Across generations, humans repeatedly confront the rhetorical dilemma of whether to employ verbal communication. In Arthur Conan Doyle's fiction, the Diogenes Club – ostensibly co-founded by Mycroft Holmes, Sherlock's elder brother – enforces absolute silence throughout this private gentlemen's club, except the Stranger's Room, to afford its members refuge from external noise and enable undistracted thought. The association between the club and the ancient cynic Diogenes has been debated: if Sir Arthur Conan Doyle intentionally invoked the Greek figure, it may reflect wry British humour. Doyle did not explain his choice.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

One relevant similarity between the outspoken cynic and the taciturn English gentlemen of the Diogenes Club is their shared rejection of prevailing social values. Diogenes criticised and mocked contemporary society, including Plato and Alexander the Great; the Diogenes Club's silent protest repudiated the vanity of Victorian London. Both methods achieve the same objective by different means. Thus, the importance of a position may outweigh the mere choice between speaking and remaining silent; the decision is contextually determined.

The capacity to form and express opinions is valuable far beyond diplomacy. In both offline and online life – notably after the acceleration of global digital activity following the 2020 pandemic – words have acquired immense value.

The "spiral of silence" can suppress free expression and the human spirit. Peter the Disciple's denial of Jesus exemplifies this phenomenon. The Gospels recount that Peter denied Christ three times before the rooster crowed, then repented bitterly. Tradition holds that Peter later chose an inverted crucifixion, seeing himself unworthy to die as Christ did.

Both scripture and daily life present the recurring dilemma of when silence is preferable to speech. We frequently err in our choice; even success in deciding does not guarantee successful implementation. Perhaps for this reason, the ancient proverb retains its force: speech is silver while silence is golden. After this extended consideration of silence, it is fitting to fall silent; as a Georgian proverb suggests, one might then hear the angels' wings as they pass by.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/c5ez7h93

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
სტუდენტი, წმ. დიმიტრი ყიფიანის სახ. კოლეჯი

დიოგენეს დუმილის კლუბი

საკვანძო სიტყვები: დუმილი, მეტყველება, საქართველო, ლინგვისტური იდენტობა, ისტორიული ფიგურები, მემკვიდრეობა, დიოგენეს კლუბი

1. ხელმწიფის დანაბარები

სოლომონზე დიდი ბრძენი, ალბათ, არცერთ დროში არ დაბადებულა, რადგან სწორედ იგი შემორჩა ამ ზედწოდებით როგორც ძველი აღთქმის, ასევე, ყურანის ფურცლებს.[65] მისი ციტატით იწყება გიორგი მერჩულის მიერ X საუკუნეში დაწერილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ბრძნად მეტყუელებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი – ოქროი რჩეული“. ჩვენდა საბედნიეროდ, ებრაელთა მეფის შეგონების საწინააღმდეგო არჩევანი გააკეთა ავტორმა. შედეგად, ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოღვაწის, წმინდა ბერი გრიგოლის ცხოვრების აღწერა შემოუნახა შთამომავლობას.

როდესაც გრძელ, დეტალებით გადატვირთულ ტექსტს ბოლოსდაბოლოს დაძლევს და სათანადოდ ისწავლის ქართველი მოზარდი, თანდათან გაუნელდება ძველქართული ენის სინტაქსსა და ქართულის მასწავლებელთან ონლაინ ჭიდილში თავწამოყოფილი კორონავირუსივით უამური შეგრძნებები და გააზრებული სიამაყის მომენტი დაუდგება, რადგან X საუკუნის სასულიერო მწერლობის ამ ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის არსს ჩაწვდება: გრიგოლ ხანძთელი რომ არა, შესაძლოა, არც საქართველო არსებულიყო XXI საუკუნეში და აღარც თავად დაბადებულიყო ქართველად. მავანი თუ ირონიულად ეტყვის, „მერე რა გიხარია, შე აბდალა“, იქნებ, უკე-

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თესი ქვეყანა გღირსებოდაო, სწორედ გიორგი მერჩულის არდადუმების წყალობით ექნება სათანადო პასუხი.

ყველა სფეროში სახელმწიფოებრივი პრობლემების მქონე, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ და თავისუფალ სამშობლოში დაბადება, წინაპრების, თითქმის, უცვლელად შემონახულ ენაზე საუბარი და იმავე მიწა-წყალზე იმავე რელიგიით გაზრდა ის წყალობაა, სხვა, ქართველებზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ერები რომ ნატრობენ. ილიასეული „მამული, ენა სარწმუნოება“, ავად თუ კარგად, ინტერნეტული საქართველოს რეალობასაც მოესწრო და დღევანდელი მსოფლიო უმრავლესობის სამთავრობო აღიარებაც მოიპოვა.[25]

მაგალითისთვის შორს წასვლა საჭირო არაა: 45-მილიონიანი ქურთი ერი[71] უნიკალური ენითა და ათასწლოვანი კულტურით წინაპართა ისტორიულ მიწაზე (რომელიც 50 ათას კმ^2-ს მოიცავს) უსამშობლოობით იტანჯება ოთხი ქვეყნის: თურქეთის, ირანის, სირიისა და ერაყის მხრივ შეთანხმებული ოკუპაციის შედეგად.[78] არადა, ჯერ კიდევ სელჩუკთა XI საუკუნის ქრონიკებშია დაფიქსირებული სიტყვა „ქურთისტანი“,[53] რაც ქართულად „ქურთების მიწას“ ნიშნავს ქურთი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ქურთების ეროვნული კონგრესის პირველი პრეზიდენტის (1999-2011) ისმეთ შერიფ ვანლის (1924-2011) მიხედვით.[75]

VIII საუკუნიდან მოყოლებული, დოკუმენტირებულად დადასტურებულია ქურთული დინასტიების, საემიროების, სამთავროებისა და კლანების არსებობა სწორედ იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც დღემდე ცხოვრობს ეს მეომარი ხალხი. მკვლევართა ნაწილი ქურთებს მიდიელთა პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევს,[38] ნაწილი კი – პართიელების.[79] თუმცა, საკითხი ჯერაც ბოლომდე დაუდგენელი და საკამათოა.[55] XVI საუკუნიდან მოყოლებული, სპარსეთსა და თურქეთს მუდმივად ომი ჰქონდა გაჩაღებული ქურთული მიწების გამო. საბოლოოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დანაწილების პარალელურად, სეფიანთა იმპერიამ და ოსმალეთმა ორად გაიყო

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქურთისტანის სადავო ტერიტორია ზუჰაბის ხელშეკრულებით,[64] რომელსაც 1639 წლის 17 მაისს მოეწერა ხელი. ასე დასრულდა მათ შორის ლამის 150-წლიანი მონაცვლეობითი ომების სერია შემდეგი მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში.[40]

ოსმალეთის შემადგენლობაში არსებული ქურთისტანის ტერიტორიას 1846-1867 წლებში ქურთისტანის იალეთი ეწოდებოდა თურქულ წყაროებში.[82] მანამდე ეს პროვინცია დიარბექირის იალეთის (1515 წლის 4 ნოემბრიდან 1846 წლამდე) სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო მოგვიანებით დიარბექირის ვილაიეთი (1867 წლიდან 1922 წლამდე) გახდა.[83] სახელწოდებაში შეტანილი ცვლილება მიზნად ისახავდა აღნიშნული გეოგრაფიული რეგიონის უფრო მეტად დაქვემდებარებასა და დამორჩილებას ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რადგან მის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდა. 21 წლის განმავლობაში ოლქმა 12 მმართველი გამოიცვალა, რომელთაც მრჩეველი ან ვეზირი ეწოდებოდათ.[56]

ქურთ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არასდროს შეუწყვეტია. როგორც კი პოლიტიკურმა რეალობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა XX საუკუნის პირველ ნახევარში, რამდენიმე დღემოკლე ქურთული სახელმწიფო წარმოიშვა: ქურთისტანის სამეფო (1922-1924 წწ.),[37] ქურთული ოლქი ე.წ. „წითელი ქურთისტანი“ (1923-1929),[84] არარატის ქურთული რესპუბლიკა (1927-1930 წწ.)[46] და მაჰაბადის რესპუბლიკა (1946 წლის 22 იანვრიდან 15 დეკემბრამდე).[60]

მეტ-ნაკლებად ქურთების მსგავსია მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე და წინაპრების მიწაზე ხიზნის პოზიციაში ჩაყენებული 76 მლნ ტამილის, 27 მლნ სიქის, 16 მლნ აკვიტანიელის, 15 მლნ უიღურის, 12 მლნ ზულუს, 8 მლნ ჩერქეზის, 7 მლნ მაიას, 6 მლნ რიფიანის (მაროკოელი ბერბერის), 5.6 მლნ ქაშმირელის, 3 მლნ ბასკის, 2 მლნ ჩეჩენისა და ნახევარ მილიონზე ნაკლები ინგუშის მდგომარეობა. საუკუნეების მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა ამ ეთნიკური ჯგუფების იდენტობის გაქრობა და დამ-

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პყრობლის კულტურასთან სრული ასიმილაცია. ისინი ვერაფრით თმობენ თავისუფლებაზე ოცნებას.

არანაკლებ ტრაგიკულია ღმერთთან ყველაზე ახლოს მცხოვრები, უნიკალური ტიბეტელი ხალხის ბედიც. „ტიბეტის მშვიდობიანი გათავისუფლების“[57] ლოზუნგს ამოფარებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ისე ურცხვად და ტექნიკურად ჩაყლაპა დალაი-ლამას[34] სამშობლო, რომ ამოდენა მსოფლიოში ვერავინ უშველა 6-მილიონიან[31] ერს. კომუნისტური ჩინეთის მიერ „ჰიმალაების გულის“[49] ანექსიას 1.2 მლნ ადგილობრივის სიცოცხლე შეეწირა, ექვს ათას მონასტერზე მეტი დაინგრა და განადგურდა, ხოლო ათასობით ადამიანი საპატიმროში აღმოჩნდა.[73] მეორე მსოფლიო ომის კოშმარიდან ახალგამოსულ სამყაროს საკუთარი თავი გასჭირვებოდა და ძალიანაც რომ ნდომოდა, სავარაუდოდ, არც სამხედრო ძალა და არც პოლიტიკური ნება ეყოფოდა ევერესტის კალთებზე შეყუჟული ბუდისტების საქომაგოდ.

მსოფლიო გიგანტად ქცეულ თანამედროვე ჩინეთს ახლა ვეღარც გაუბედავენ 70 წლის წინანდელი ამბის შეხსენებას. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ცინ განის თქმის არ იყოს, „განა სადაა ამქვეყნად აბსოლუტური თავისუფლება“,[69] რომ „განმათავისუფლებელ“ ანექსორს[62] მოჰკითხოს ვინმემ პასუხი.

თუმცა, ათწლეულებია, რაც ჩინეთის ხელისუფლებას მის წინააღმდეგ არსებული უმთავრესი სამხილი აწუხებს: ტიბეტური ენა, რომელიც მანდარინით ვერაფრით ჩაუნაცვლა ტიბეტელებს ამდენი ხანია.[26] მსგავს პოლიტიკურ მომენტებში მწვავედ დგება არდადუმების საჭიროება. თუ მტერი კეთილშობილებაში იმ მონღოლ დამპყრობზე მეტად მოიკოჭლებს, 1245 წელს ცოტნე დადიანის[3] ვაჟკაცობა რომ სათანადოდ დააფასა და კოხტასთავის თაფლწასმული ქართველი შეთქმულები შინ გაუშვა,[20] ნამდვილად ეჭვი შეგეპარება, „ვერცხლი“ უფრო ფასეულია თანამედროვე შეშლილ სამყაროში თუ „ოქრო“.

დღეს უკვე უაპელაციოდ სახელდება წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზის წარმოშობის ადგილად

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თურქეთი. მცოცავ ოკუპაციასავით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაქრა მოგრძო განმარტება „თანამედროვე თურქეთის ტერიტორია“ ჯერ ონლაინ საინფორმაციო წყაროებიდან, ხოლო 2020 წლის ამერიკულ ფილმში „შობის ქრონიკები: მეორე ნაწილი“[68] სანტა კლაუსად ტრანსფორმირებული წმინდა ნიკოლოზის სამშობლოდ პირდაპირ სახელდება თურქეთი, რომელსაც ჩრდილოეთი პოლუსიდან სტუმრობს საშობაო ვარსკვლავის დასამზადებლად. ვიღაცას ჰყოფნის სითავხედე, წარსული გადაწეროს სურვილისამებრ. სხვას პოლიტიკური კორექტულობის საბაბით ადუმებენ. ის იტყვის ყველაფერს, რაც ენაზე მოადგება, მაგრამ შენ უნდა გეყოს ოჯახიშვილობა და ოქროსავით კეთილშობილი დუმილი დაახვედრო, არ აყვე კამათში – ასეთია თანამედროვე ორმაგი სტანდარტებით აღზრდის დოგმა. ამ ყველაფრის ფონზე, პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ნამდვილად მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ ქართველი რომ გქვია, რადგან ზეგ ან მაზეგ რა იქნება, არავინ იცის.

როგორც ჩვენს დიდ წინაპარს უთქვამს, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისა“.[12] ისტორიული მომენტის სწორად შერჩევა უმთავრესია, როდესაც ეროვნული საკითხი და მთელი ხალხის ბედი წყდება. არც ქურთებს გაუმართლათ ამ მხრივ და არც ტიბეტელებს. ებრაელებს კი, ალბათ, იგივე ბედი დიდხანს გაუგრძელდებოდათ, ჰიტლერის ავადმყოფური იდეების მსხვერპლნი რომ არ გამხდარიყვნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. შედეგად, ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა სწორედ მაშინ, როდესაც ქურთი ხალხის ოცნება ბოლოჯერ დაიმსხვრა 1946 წლის 15 დეკემბერს. ნატვრის ახდენას რეალურ ცხოვრებაში ხშირად არ მოსდევს სანუკვარი ბედნიერი დასასრული. სწორედ ამის დასტურია მსოფლიო „ცხელი“ ომის საჯილდაო ქვად ქცეული პალესტინა. საინტერესოა, ბრძენი სოლომონ მეფე კომენტარს გააკეთებდა ამ ყველაფერზე თუ დუმილს აირჩევდა.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. გამონათქვამის ინტერპრეტაციები

1943 წლის 13 ოქტომბერს ინგლისის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „აზრის ტირანიას უნდა ვუფრთხილდეთ, რადგან ის საკითხის ცალმხრივად წარმოჩენას ცდილობს. სიტყვის თავისუფლება ყველას მოსწონს და ერთი დღე არ გავა ისე, ხოტბა არ შეასხან. თუმცა, ზოგის წარმოდგენით, ეს მათ უფლებას აძლევს, რაც სურთ, ის თქვან, ოღონდ თუ შეპასუხებას გაუბედავს ვინმე, აღშფოთდებიან“.[32] „აზრის ტირანია“ რომ არ გამოგვივიდეს, სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ ებრაელთა ბრძენი მეფის შეგონების მნიშვნელობა. ცოტა დამაფიქრებელია, რომ სოლომონს ყველა პატივს სცემს, მაგრამ დადუმებას არავინ თანხმდება. არც თავად ებრაელთა მეფე ჩანს „ოქროს“ თაყვანისმცემელი თუ იმ ფაქტით ვიმსჯელებთ, რომ ძველი აღთქმის 39 წიგნიდან თავადაა სამის („იგავნი“, „ეკლესიასტე“ და „ქებაი ქებათაი“) ავტორი. როგორც ჩანს, ფრაზა „დუმილის გამორჩეულობის“ შესახებ საკმაოდ მოქნილია ინტერპრეტირებისათვის.

ოქსფორდის ფრაზებისა და ფაბულების ლექსიკონის მიხედვით, „კეთილგონიერება შეიძლება უფრო ძვირფასი იყოს, ვიდრე მჭევრმეტყველება“.[72] აქ აშკარად ინდივიდუალურ არჩევანზეა აპელირება. უპირატესობა არცერთ ვარიანტს არ ენიჭება და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, ხან სიტყვის ამოღებამდე დაფიქრება ჯობია, ხანაც დროული ენაწყლიანობა. ასეთ გაგებას ემხრობა ყოველდღიური გაზეთის „ეკონომიკ ტაიმს“ სარედაქციო სტატიაც: „საჭირო ადგილას და საჭირო დროს დუმილი, როგორც ოქრო, ხიბლსა და დიდებულებას ანიჭებს სიცოცხლესა და ცხოვრებას“.[76]

გერმანელი მეცნიერის, დოქტორ გეორგ ფოიერსტინის განმარტება მრავალსიტყვაობით გამოირჩევა და ერთდროულად, თან ხსნის უძველეს გამოთქმას, თანაც კიდევ უფრო მეტ საფიქრალს აჩენს: „უმეტესწილად ადამიანები ფოკუსირდებიან მხოლოდ საკუთარ ნაუბარზე და

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ძნელად უსმენენ სხვებს. ამიტომ, აზრმა შინაარსი შეიძლება იცვალოს ერთი ინდივიდისგან მეორისთვის გადაცემის პროცესში. თუმცა, როგორც კი ადამიანები ჩუმდებიან და მეტი მონდომებით უსმენენ, თავად მათთვის და სხვებისთვისაც მომგებიანი ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა“.[39]

„ბრძნად მეტყველება“ თუ „დუმილი რჩეული“?

თქმა თუ არ-თქმა?

„საკითხავი, აი, ეს არის“.

გარკვეული აზრით, ადამიანის მთელი ცხოვრება ამ ერთ დილემასთან ჭიდილში გადის. პასუხი კი, სიტუაციის მიხედვით, ხან დადებითია, ხანაც უარყოფითი. ვერც წინასწარ შეემზადები, ვერც ვინმე პატივსაცემი წვეროსანი ბრძენი დაგარიგებს ჭკუას წინდაწინ. ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც ჰამლეტს აწუხებდა, უშუალოდ უკავშირდება თქმა-ართქმის დილემას. მსოფლიო საფონდო ბირჟაზე ვერცხლის ფასმა[52] რომ ოქროსას გადაასწროს,[66] ასეთ სახეცვლილ რეალობაში სრულიად თავიდან გახდება საჭირო მეფე სოლომონის შეგონების მნიშვნელობის გააზრება.

3. ორიგინალის სადაურობა

ალბათ, ბრძენთა დუმილის ბრალია, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფრაზის წარმომავლობა ვერ ზუსტდება. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის მიხედვით, ეს სიტყვები გაერთიანებული ისრაელის მბრძანებელს, მეფე სოლომონს ეკუთვნის, რომელიც ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტის შექმნამდე ოცი საუკუნით ადრე ცხოვრობდა. გიორგი მერჩულის გავლენით, ქართველთა მრავალი თაობა გაიზარდა ამ რწმენით. დასავლეთ ევროპული წყაროები ასე ცალსახად ვერ თანხმდებიან ორიგინალის წარმომავლობაზე. მხოლოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს ძვ. წ. X საუკუნეში მცხოვრებ ებრაელთა მეფეს აღნიშნული სიტყვების ავტორად.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამერიკელი ისტორიკოსი დევიდ ვასერსტაინი უსაფუძვლოს უწოდებს მოცემული ფრაზის ებრაულად მიჩნევას იმ მიზეზით, რომ არ არსებობს ფაქტობრივი მტკიცებულებები, თუმცა არაერთი არაბული წყარო ასახელებს მეფე სოლომონს ანდაზის ავტორად. ვასერსტაინს იგი მაინც IX საუკუნის არაბულ სიბრძნედ მიაჩნია იმიტომ, რომ იმ ეპოქის არაბ მწერალსა და ღვთისმეტყველს, ალ-ჯაჰიზს აქვს გამოყენებული.[77] ამერიკელის მოსაზრებას არ იზიარებს ბევრი მკვლევარი, მათ შორის, არც მე, რადგან გამოყენებასა და ავტორობას შორის დიდი განსხვავებაა.

გამორიცხული სულაც არაა, რომ ებრაული წყაროდან გადმოიღო ალ-ჯაჰიზმა სხვა ავტორთან ნაპოვნი ლამაზი ფრაზა. ეს არაბი მწერალი აბასიდების დინასტიის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერტურული ფორმის – კომპილაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.[17] მას სოლომონ ბრძენის წიგნებიც შეიძლებოდა სცოდნოდა, რადგან თავისი ეპოქისთვის გამორჩეულად ნაკითხი ადამიანი იყო. ამაზე მისი ქითაბე-ბის[15] ენა, სტილი და შინაარსი მიუთითებს. მრავლისმეტყველია უჩვეულო გარდაცვალების ლეგენდაც: ალ-ჯაჰიზს საკუთარ ბიბლიოთეკაში წიგნების დიდი გროვა გადმოუცვივდა, ქვეშ მოიყოლა და მწერლის სიცოცხლე შეიწირა.[58]

აუცილებლად გასათვალისწინებელია ისლამურ პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობის სოლიდური წილიც არაბულ ლიტერატურაში. ხალიფა იშამ ბენ აბდ ალ-მალიკმა სწავლულებს უცხოური ლიტერტურის არაბულ ენაზე თარგმნა დაავალა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა არაბული ლიტერატურის განვითარებასა და გამდიდრებაში. მოგვიანებით, თარგმნილ ნაწარმოებთაგან მრავალი ხელახლა გავრცელდა ევროპაში უკვე არაბული ვერსიით.[13]

აღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, ეს ანდაზა თუ არაბულია, IX საუკუნეზე გაცილებით ძველი უნდა იყოს. ფრაზა მხოლოდ ერთი საუკუნის წინანდელი

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რომ ყოფილიყო, გიორგი მერჩულის დონის განათლებულ პიროვნებას ზუსტად ეცოდინებოდა მისი ავტორი, რადგან ალ-ჯაჰიზი (დაახლ. 767-868) იმ გრიგოლ ხანძთელის (759-861) თანამედროვე იყო, ვისზეც მერჩულე წერდა „მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან“ ნაამბობის მიხედვით. თხზულების დასაწყისში ქართველი ავტორი საქმიანად აღნიშნავს საკუთარ საინფორმაციო წყაროებს, რათა ნაშრომის სანდოობა გახაზოს მკითხველის თვალში. ცხადია, მას არც ებრაელთა მეფე სოლომონი აერეოდა არაბ მწერალ ალ-ჯაჰიზში და არც ხელოვნურად „დააძველებდა“ შეგონებას, მეტი სოლიდურობისათვის.

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გერმანული ენის პროფესორმა რიჩარდ იენტმა (1888-1952) 1932 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიაში „ამერიკული ანდაზა“[48] მოცემული ფრაზა „აღმოსავლური წარმოშობის“ მქონედ მიიჩნია. მისი ვარაუდით, ეს ფრაზა ჯერ გერმანიაში გახდა პოპულარული XIX საუკუნის დასაწყისში, შემდეგ კი ინგლისურ ენაში გადავიდა აშშ-ში გერმანელი ემიგრანტების საშუალებით. თუმცა, იენტს ისევე არა აქვს მყარი არგუმენტი საკუთარი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, როგორც დევიდ ვასერსტაინს.

რამზესის ინსტიტუტის თანადამფუძნებელი, ფრანგი ეგვიპტოლოგი ჟაკ კრისტიანი ვარაუდობს, რომ გამოთქმას საფუძვლად უდევს სოლომონ ბრძენის დაბადებამდე დაწერილ წიგნში დაცული ეგვიპტური შეგონება: „სიჩუმე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მჭევრმეტყველება“.[47] ქრისტესშობამდე XXIV საუკუნის ეგვიპტეში, როდესაც V დინასტიის მერვე ფარაონი, ჯედკარა ისესი მართავდა ქვეყანას, უფლისწულ პტაჰ-ჰოტეპს ვეზირის თანამდებობა ეკავა. როდესაც იგი 110 წლის გახდა, მინისტრობისთვის თავის დანებება განიზრახა. ფარაონი მას დაჰპირდა, რომ შემდეგი ვეზირი პტაჰ-ჰოტეპის ვაჟი გახდებოდა თუ საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას ინსტრუქციის სახით დაუწერდა მამაზე ნაკლები გამოცდილების მქონე მემკვიდრეს. სწორედ ამიტომ, ძვ. წ. 2375-2350 წლებში ეგვიპ-

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ტის მმართველის ბრძენმა მრჩეველმა შეგონებების კრებული შეადგინა საკუთარი შვილისთვის.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი წიგნის „პტაჰ-ჰოტეპის მაქსიმების“ (ასევე ცნობილია სახელწოდებით „პტაჰ-ჰოტეპის ინსტრუქციები“)[42] ტექსტი ფრანგმა არქეოლოგმა ემილ პრის დ'ავენმა (1807-1879) შეიძინა არაბი დაქირავებული მუშისაგან, რომელმაც დოკუმენტი 1847 წელს ქალაქ თებეს მიდამოებში აღმოაჩინა.[61] შემორჩენილია ტექსტის ოთხი ასლი. უძველესი განეკუთვნება V დინასტიის პერიოდს, ხოლო დანარჩენები – XII-ის; მათ შორისაა პრისის პაპირუსი,[43] რომელიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული და ერთადერთ სრულ ვარიანტს წარმოადგენს.[70]

თანამედროვე ვერსიასთან ყველაზე მიახლოებული სახით, ეს გამოთქმა პირველად დაახლ. 600 წელსაა დაფიქსირებული ძველი აღთქმის კანონების განმარტებაში – მიდრაშში:[11] „თუ მეტყველება ვერცხლივითაა, მაშინ დუმილი ოქროსავითაა“.[41] როგორც ჩანს, სოლომონის თუ სხვა ბრძენის, მაგრამ ნამდვილად ებრაელი ავტორის კალამს უნდა ეკუთვნოდეს ცნობილი ანდაზა.

4. პერიფრაზები და ფრაზული გამოყენება

მეცნიერული სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ ქართველ მკვლევართა ნაწილსაც აწუხებს გარკვეული ეჭვი გამონათქვამის ავტორთან დაკავშირებით, რადგან გიორგი მერჩულის მიერ მოხმობილი ციტატა ზუსტად არ ემთხვევა მეფე სოლომონის სიტყვებს:[2] „საქმის დამალვა ღვთის დიდებაა, მეფეთა დიდება კი საქმის გამოაშკარავებაა“.[8] აქ ძვირფას ლითონებთან ხარისხობრივი შედარება არ ფიქსირდება. წიგნში „იგავნი სოლომონისნი“ (10, 19-20) წერია, რომ სიტყვამრავლობას დუმილი სჯობს, ოღონდ საერო და სასულიერო საკეთებლის გამიჯვნა ხდება.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამ ასპექტით, ძველ აღთქმაში მოცემულ პოსტულატს ზუსტად ესადაგება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილი ერთი ეპიზოდი. გუარამ მამფალი ეპისკოპოსებს რჩევას ეკითხება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ერისკაცი, რომელიც იერუსალიმში ან სხვა წმინდა ადგილას სტუმრად მყოფი რაიმე კარგ, თუმცა, ქართული ღვთისმსახურებისთვის უცნობ წესს აღმოაჩენს – აუწყოს ამის თაობაზე ერს თუ არა. ხელმწიფეს ცალსახა პასუხს აძლევს სამღვდელოება: საუკეთესო გამოსავალი, დუმილია, მაგრამ თუ კაცს გაჩუმება არ შეუძლია, მაშინ თავის ეპისკოპოსს უთხრას და ის გადაწყვეტს, ასწავლოს სამწყსოს სიახლე თუ არა.[10]

აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირები დუმილს ყოველთვის ღირსებად მიიჩნევდნენ. XIV საუკუნის ინგლისელი განდეგილი და მისტიკოსი მწერალი რიჩარდ როლ დე ჰამპოლი[33] (დაახლ. 1300-1349) მეფე დავითის „ფსალმუნების“ 1340 წლის ხელნაწერიდან ასეთ პოსტულატს იმოწმებს: „დუმილის ჩვევა კარგია“ (ორიგინალში: “disciplyne of silence is goed”).[44] ფაქტობრივად, იგივე აზრია მოცემული, ოდნავ უფრო განზოგადებული სახით.

1382 წლის ვაიკლიფის ბიბლიის[81] თარგმანში, რომელიც ლათინურიდან არის ინგლისურ ენაზე გადმოტანილი, ასეთი დებულებაა: „დუმილი ზეციური წარმოშობისაა“ (Silence is maad in heuen).[80] სამივე ნიმუში იდეურად მსგავსია, მაგრამ ფორმულირება განსხვავებული აქვს. ისინი, თითქოს, უძველესი სიბრძნის განვრცობილი ვერსიებია.

ერთი შეხედვით, კვლევის ობიექტს მხოლოდ შორეულად ეხმიანება ახალგაზრდა მონტეგის ფრაზა: „ვერცხლის წკრიალა ხმა არა აქვთ მიჯნურებს ღამით? ყურს უნაზესი მუსიკის ხმად ესალბუნება“ (მოქმედება II, სურათი II).[16] რჩება შთაბეჭდილება, რომ უილიამ შექსპირმა ქვეტექსტურად განავრცო ძველი ანდაზა, როდესაც ენაწყლიანი რომეოსა და ჯულიეტას ხმები თეთრი ლითონის ჟღერადობას შეადარა. იქნებ, საერთოდ არც უფიქრია ამ დეტალზე ინგლისელ დრამატურგს, მაგრამ მაინცდამაინც

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვერცხლი რატომ აირჩია მთავარ პერსონაჟთა საუბრის აღსაწერად? ის დეტალი, რომ მოცემული შედარება ტრაგედიის გმირებს შეეხება, ოქროსავით ძვირფას დუმილზე დააფიქრებს პიესის მკითხველსა თუ მაყურებელს.

ანტიკური შეგონების გამოძახილია შემოთავაზებული სერვანტესის „დონ კიხოტშიც“, რაც, პრინციპში, გასაკვირი არცაა ისეთ რომანში, რომელიც ესპანური ანდაზების ფეიერვერკია. ოღონდ ფრაზა ამჯერად არა ტრაგიკული, არამედ ფილოსოფიურად კომიკური ეფექტის მოსახდენად აქვს მწერალს გამოყენებული. გუბერნატორად ახლადდანიშნულ სანჩო პანსას დონ კიხოტი ქცევის ნორმების დაჩქარებულ კურსს უტარებს. განსაკუთრებით ურჩევს, საუბრისას ანდაზების სიუხვეს მოუკლოს, თორემ სულელის შთაბეჭდილებას ტოვებს. მსახური თავის შეკავებას პირდება:

„– აი, სამი ანდაზა ერთდროულად დამებადა გონებაში, მაგრამ არ გავიმეორებ, რადგან „ბრძნული დუმილი სანჩოს გამოგონილია“.

– რაც არა ხარ, არა ხარ, სანჩო“,[29] – არ სჯერა საჭურველთმტვირთველის ენაჭარტალით თავგაბეზრებულ ლამანჩელ რაინდს.

1831 წელს გერმანულიდან ინგლისურად პირველად გადათარგმნა აღნიშნული ანდაზა ისტორიკოსმა, მწერალმა, პუბლიცისტმა, მთარგმნელმა, ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა და პედაგოგმა, თომას კარლაილმა (1795-1881) და საკუთარ რომანში «Sartor Resartus» (ლათ. „შეკოწიწებული თერძი“) გამოიყენა: „მეტყველება დიდებულია, თუმცა, არა ზედიდებული. შვეიცარიული წარწერის არ იყოს: Sprecfien ist silbern, Schweigen ist golden (მეტყველება ვერცხლისაა, დუმილი კი ოქროსიო). მე უფრო ასე ვიტყოდი: მეტყველება დროსავითაა, დუმილი კი მარადიულობასავით“.[27] ეს უკვე პერიფრაზის კატეგორიიდან საკმაოდ შორს წასული ვარიანტია. თუ ძველი შეგონების შემთხვევაში ლითონების ღირებულების ტრადიციული მეტნაკლებობის საფუძველს ეყრდნობა რჩევა, კარლაილი ყოველგვარ ბუნდოვანებას გაფანტავს საკუთარი ინტერპრეტაციით: დრო წარ-

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მავალია და საუბარიც მას ჰგავს, ხოლო დუმილის მარადიულობასთან წილნაყარობა ახსნას არ საჭიროებს.

პერიფრაზების პარალელურად, აღნიშნულ ანდაზას მთლიანად თუ ნაწილობრივ მრავალი საუკუნის განმავლობაში იმოწმებს არაერთი მწერალი, მათი განსხვავებული შემოქმედებითი სტილისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად. მარკ ტვენის სათაყვანო ამერიკელმა პოეტმა ჯეიმს რასელ ლოუელმა (1819-1891) ფრაზა თანამედროვე ფორმით გამოიყენა ეროვნული პოლიტიკის სატირულ ეპოპეაში „ბიგლოუს ჩანაწერები“.[50] ამერიკულ დიალექტზე შეთხზულ პოემაში ავტორი საკუთარ კრიტიკულ დამოკიდებულებას წარმოაჩენს ამერიკა-მექსიკის ომთან (1846-1848), მონობის სამთავრობო მხარდაჭერასთან, ინგლისურ ინტერვენციასა და სხვა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით.[24] ეს ანდაზა ასევე გამოიყენა ბრიტანელმა სამხედრო კორესპონდენტმა ჰენრი ნევინსონმა (1856-1941) ავტობიოგრაფიულ წიგნში „ცვლილებები და შესაძლებლობები“.[74] სიის უსასრულოდ გაგრძელებას, ჯობია აღინიშნოს, რომ, სავარაუდოდ, 30 საუკუნის სიძველის ანდაზა დღესაც აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ საუბარსა თუ თანამედროვე თხზულებათა ელექტრონულ ვერსიებში.

5. პარალელური ვერსიები

რადგან ადამიანს მეტყველების უნარი აქვს, როგორც ჩანს, თაობიდან თაობას აწუხებს ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისგან ასე განსხვავებული შესაძლებლობის გამოყენება-არგამოყენებასთან დაკავშირებული რიტორიკული კითხვა. შესაბამისად, დუმილთან დაკავშირებით ყველა ერში არსებობს ორიგინალური ფრაზებიცა და წლებისა თუ საუკუნეების წინათ სხვა ენიდან თარგმნილ-შემოტანილი ანდაზებიც. „ამერიკული და ევროპული ფოლკლორის ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი სპეციალისტის“[23] არჩერ ტეილორის (1890-1973) კვალდაკვალ,

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რომლის ყველაზე ცნობილი სამეცნიერო კვლევაა „ანდაზები“ (1931) გამოთქმათა ტიპების თაობაზე, ინგლისელი პროფესორი ჯონათან ჩარტერის-ბლექი ჯვარედინი ლინგვისტიკის[30] ასპექტში ჯერ კიდევ 25 წლის წინათ განიხილავდა მეტყველებისა და დუმილის შესახებ ანდაზებს. ამიტომ გადავწყვიტე, მხოლოდ ქართული და ინგლისური ვარიანტების შედარებით არ შემომეფარგლა მოცემული კვლევა-ძიება და რამდენიმე ენის რაკურსშიც შემედარებინა დუმილთან დაკავშირებული ბრძნული ფრაზები.

ესპანურ ენაში არაერთი საინტერესო ანდაზა არსებობს დუმილთან დაკავშირებით: „სჯობს შენი დუმილის მეფე იყო, ვიდრე საკუთარი სიტყვების მონა“ (Es mejor ser rey de tu silencio, que esclavo de tus palabras), „სიტყვებს ვარდებივით გაუფრთხილდი, რომ ეკლებად არ მოგიბრუნდეს“ (Cuida tus palabras como rosas, para que no se vuelvan espinas), „ვინც იმას იტყვის, რაც არ უნდა თქვას, გაიგონებს იმას, რაც არ სურს“[6] (Quien dice lo que no debe, oye lo que no quiere).[54] როგორც ჩანს, არგაჩუმების შედეგად ექსპრესიული ესპანელები იმდენჯერ გაეხვნენ შარში, რომ ამან ერთი და იგივე სიბრძნის მრავალფეროვნად ჩამოყალიბებისკენ უბიძგა მთელ ერს.

ლაპარაკის ნაკლებად მოყვარულ, ფრთხილ ბრიტანელებსაც აქვთ დუმილთან დაკავშირებული ანდაზები, თუმცა, ესპანელებზე გაცილებით ნაკლები მრავალფეროვნებით: „წყნარ წყალს სიღრმე მეტი აქვს“ (Still waters run deep), რაც ქართული გამოთქმის „ორი ამდენი მიწის ქვეშაა“ ანალოგიურია. „ცარიელი ჭურჭელი ყველაზე ხმამაღლა ჟღარუნობს“ (Empty vessels make the most noise) იდეურად ახლოსაა ჩვენებურ ვარიანტთან: „ფუყე თავთავი თავს მაღლა იწევს, სავსე კი მუდამ თავდახრილია“ (The heaviest head of corn hangs its head lowest).[14] ოდნავ განვითარებულია მჭევრმეტყველებასთან დაკავშირებული შემდეგი გამოთქმა, თუმცა, ზუსტად გადმოსცემს ანგლოსაქსურ ხასიათსა და ბუნებას: „ინგლისელები ლაპარაკში

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ღმერთს დიდად არ უქნია, მაგრამ ქმედებაში ყველა ევროპელს ჯობნიან“.[41]

ნიმუშების შედარებისას, ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ესპანელებს მრავალჯერ დაეწვათ ხელი ენაზე კბილის ვერდაჭერის გამო მაშინ, როცა ინგლისელებს უფრო ფილოსოფიური მსჯელობა აქვთ დუმილთან დაკავშირებით. თითქოს, გადამთიელს აფრთხილებენ, ჩუმად რომ ვართ, გულში რა ცეცხლი გვიდუღს ვერ ხედავთო. მეორე ინგლისურ ანდაზაში კი დუმილის დამრღვევის დაცინვაა: თავში რომ რამე გქონდეს, ხმას არ აიმაღლებდიო.

„რომის უკანასკნელი კარგი იმპერატორის“ (121-180) მარკუს ავრელიუსის შეგონება „სიბრაზეზე საუკეთესო პასუხი დუმილია“ (The best answer to anger is silence) უფრო გაფრთხილებას თუ შეფასებას შეიცავს. საინტერესოა, რომ ამ ფრაზის გერმანულ წარმოშობას ამტკიცებს ამერიკული ჟურნალი „ფორბზი“ და ასე ასწავლიან ამერიკულ სკოლებშიც. II საუკუნის ცხელსისხლიანი გერმანელების ტომობრივი ცხოვრების წესი და ბარბაროსული თარეში რომის იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებთან ძალზე საეჭვოს ხდის რომის ინტელექტუალისთვის დუმილის საკითხთან დაკავშირებით გერმანული მასტერკლასის რეალურობას. მარკუს ავრელიუსი სახელგანთქმული გერმანული ფილოსოფიური სკოლის ჩამოყალიბებამდე[45] გაცილებით ადრე ცხოვრობდა.

არაბული ანდაზა „რაც უფრო მოგემატება ჭკუა, მით ნაკლებს ილაპარაკებ“ იმაზე მიუთითებს, რომ დუმილს ცხოვრებისეული გამოცდილება გასწავლის. მრავლისმეტყველია მეორე არაბული გამოთქმა: „როცა კამათი უაზროა, საუკეთესო რიტორიკა დუმილია“. აქ აშკარად ხაზგასმულია ლაპარაკსა და დუმილს შორის არჩევანის სიტუაციური ბუნება, რადგან აზრიანი კამათი დასაშვებია.

ებრაული ანდაზა, რომელიც შესაძლოა თავად სოლომონ ბრძენსა და მამამისზე, მეფე დავითზე ძველიც კი

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

იყოს, ამბობს: „ღმერთმა ადამიანს მისცა ორი ყური და ერთი პირი იმისათვის, რომ მეტი მოისმინოს და ნაკლები ილაპარაკოს“. ცხადია, დუმილის აპოლოგია არანაირად არ იგულისხმება. მოსმენის კულტურაა ხაზგასმული და ის პრივილეგია, რასაც კარგი მსმენელი იძენს ყბედთან შედარებით. ძველებრაულ გამონათქვამში ლაკონიზირებული იდეის ფილოსოფიური გაშლაა 1960-1972 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ II-ის უსაყვარლესი გამონათქვამი: „ადამიანს ორი ყური იმიტომ აქვს, ერთით ისმინოს, მეორეთი – აისხლიტოს. ყურებს შორის კი ღმერთმა ტვინი ჩაგვიდო, რომ გავარჩიოთ, რა უნდა შევუშვათ და დავიტოვოთ გონებაშიო“.[7]

აღნიშნული ებრაული სიბრძნის კიდევ ერთი ფილოსოფიურ-პრაქტიკული ასპექტია შემოთავაზებული სხვა ანდაზაში: „ყრუს ესმოდა, რას ყვებოდა მუნჯი, რას ხედავდა ბრმა და კოჭლი როგორ გარბოდა“. ამ შემთხვევაში, განაცხადის აბსურდულობა იწვევს ემოციურ სიმძაფრეს და თანამედროვე რეალობას ისევე სრულყოფილად ასახავს, როგორც, სავარაუდოდ, წარსულში. სწორედ ის ადამიანები გვევლინებიან „ექსპერტებად“, არავის რომ უსმენენ და არც რამის დანახვის უნარი გააჩნიათ. პოლიტიკური პარალელის გარდა, თაობათა შორის მარადიული ჭიდილის გამოძახილია შემდეგ ბრძნულ ებრაულ გამონათქვამში: „მშობლები შვილებს ლაპარაკს ასწავლიან, შვილები კი მშობლებს გაჩუმებას“. იმდენად მრავლისმთქმელი ფრაზაა, რომ დებატების გამართვასაც აღარ საჭიროებს თუ ახალ თაობებს ბრძნად მეტყველებასთან ერთად გონივრულ მდუმარებასაც ასწავლიან წინამორბედნი.

სკოლებსა და კოლეჯებში აქცენტი, რატომღაც, გადატანილია პრეზენტაციასა და დეკლამაციაზე. არსად ხდება მოსმენის უნარის გამომუშავება და პოპულარიზაცია. პირიქით, მაგალითად, განსვენებული რობინ კალანის მეთოდი სხვისი ნათქვამის დინამიკურად გადაფარვის პრაქტიკას თვლის ინგლისური ენის შესწავლის სწრაფ

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და ეფექტურ მეთოდად.[67] საინტერესოა, რომ ბრიტანული თავშეკავებისგან რადიკალურად განსხვავებული მეთოდიკით ინგლისურის შესწავლა მხოლოდ ექსპრესიულ უცხოელებში რჩებოდა აპრობირებული. ფაქტია, ერთმანეთის მოსმენის კულტურა თანამედროვე ადამიანთა უმრავლესობას გამოადგებოდა. შესაბამისად, ძველებურად აქტუალურია კიდევ ერთი ებრაული შეგონება: „კარგად გაჩუმება უფრო რთულია, ვიდრე კარგად საუბარი“.[9]

6. კასრიდან კლუბამდე

ორგანიზაციის თანადამფუძნებელი მაიკროფტ ჰოლმსის იდეით, ლონდონის მდუმარე მამაკაცთა კლუბის მიზანი ამქვეყნიური ხმაურისგან გადაღლილი ტვინის სიჩუმეში დასვენება იყო. ორი-სამი მეტრი დისტანციის დაცვით სავარძლებში გარინდული შავსმოკინგიანი მამაკაცები, ერთი შეხედვით, მადამ ტიუსოს მუზეუმში დადგმული პანტომიმის მონაწილეებს მოაგონებდნენ მნახველს. თუმცა, ლუის კეროლისეული სარკის მიღმიერი[28] სიურრეალური სამყაროს პარალელურ განზომილებებში არეკლილ ერთმანეთის ასლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სამუზეუმო არტეფაქტებს. მათი ნაწილი ფიქრიანი, ოდნავ გაყინული მზერითა და ხელში მსუბუქად მბოლავი სიგარით გაშეშებულიყო, დანარჩენებს ცხვირები გაზეთის იმ დღევანდელ ნომრებში ჩაერგოთ.

ამ კლუბისთვის შერქმეულ სახელზე საუკუნეა, მსჯელობენ სერ არტურ კონან დოილის ფანები და მაინც დღემდე დაუდგენელია, რა კავშირია დუმილის აღთქმადადებული ბერებივით მცხოვრებ ლონდონელ ჯენტლმენებსა და კორინთოელ სიტყვამრავალ, ექსცენტრულ ფილოსოფოსს შორის, თიხის ქოთანში (პითოსში) ანუ ჩვენებურ ქვევრში (უფრო გავრცელებული ქართული ვარიანტით კი, კასრში) რომ უყვარდა მოსვენება. ეს, ალბათ, წმინდა ბრიტანული იუმორის მსუბუქი ცინიზმია. თუმცა, კონან

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დოილს ისიც კი არსად დაუკონკრეტებია, კაცების კლუბი სწორედ იმ ცნობილი დიოგენეს სახელობისაა თუ არა.

ავტორი მთავარი პერსონაჟის საშუალებით კლუბის თაობაზე შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის: „ლონდონში ბევრი მამაკაცია, ვისაც მორიდებულობისა თუ მიზანთროპობის გამო არ სურს საზოგადოების წევრებთან ურთიერთობა. ამავე დროს, მათ არაფერი აქვთ კომფორტული სკამებისა და უახლესი პერიოდული გამოცემების საწინააღმდეგო. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის შეიქმნა დიოგენეს კლუბი, რომელიც ახლა ქალაქის ყველაზე ასოციალურ და ანტიკლუბური განწყობის ადამიანებს აერთიანებს. წევრებს კატეგორიულად ეკრძალებათ ერთმანეთისადმი სულ მცირე ყურადღების გამოჩენაც კი. უცხოთა ოთახის გარდა, საუბარი სასტიკად აკრძალულია. კომიტეტის ყურამდე თუ მივა ამ წესის სამჯერ დარღვევის ამბავი, ყბედს კლუბიდან გარიცხვა დაემუქრება. ჩემი ძმა ერთ-ერთი დამფუძნებელია. ჩემდათავად, ძალიან დამამშვიდებელ გარემოდ მიმაჩნია“.[36] ეს არის და ეს. დანარჩენი სტრიქონებს შორის მკითხველის ფანტაზირების ნიჭსა და წარმოსახვის უნარზეა მინდობილი. ასე გაჩნდა ვერსია იმის თაობაზე, რომ მდუმარე კაცების კლუბი, სინამდვილეში, ბრიტანული საიდუმლო სამსახურის (MI6) ფასადური ორგანიზაციაა. ერთი მხრივ, არაანგლოსაქს ფანებს ვერ დაუჯერებიათ, რომ სიჩუმეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ, კონტაქტის გარეშე, სრულ მდუმარებაში შეუძლიათ ზრდასრულ მამაკაცებს დღეების გატარება ისე, ამის უკან ფარული საქმიანობა არ იგულისხმებოდეს. მეორეც, 1908 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „ბრიუს-პარტინგტონის ნახაზების თავგადასავალი“[35] ჰოლმსებიდან უფროსი ძმა, მაიკროფტი ბრიტანეთის მთავრობის ნდობით აღჭურვილ უზენაეს და შეუცვლელ ექსპერტადაა გამოყვანილი, რომელიც სახელისუფლებო საიდუმლოებათა დეტალებში ლოგიკურ კავშირს პოულობს და საუკეთესო სვლას უგეგმავს მთავრობას.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ენაწყლიან ორატორსა და მდუმარე ჯენტლმენებს შორის, ვფიქრობ, არსებობს ერთი აშკარა მსგავსება. კორინთელი ცინიკოსი ცხოვრებისა და ქცევის მარტივ წესს უპირისპირებდა კორუმპირებული, თავგზააბნეული საზოგადოების სოციალურ ფასეულობებსა და წეს-ჩვეულებებს. ალფრედ დე ვინისეული „დიადი დუმილის“[5] პრიორიტიზირებით, დიოგენეს კლუბის წევრებიც რადიკალურად ემიჯნებოდნენ XIX საუკუნის აქტივობებით გადატვირთული ლონდონის ჭრელ საზოგადოებას. ძნელად თუ მოიძებნება განსხვავებული მეთოდების ასე ოსტატურად გამოყენება ზუსტად ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად. დიოგენე მჭევრმეტყველებდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მთელ ქალაქს, პირადად პლატონსა და თვით ალექსანდრე მაკედონელსაც. არანაკლებად მეტყველია კონან დოილისეული ჯენტლმენების კლუბის მდუმარე პროტესტი და ფანჯრებს იქით დარჩენილი ამაოების მიუღებლობა. საბოლოო ჯამში, გამოდის, მთავარი პოზიციაა და არა არჩევანი თქმასა თუ არ-თქმას შორის, რასაც პირადი გამჭრიახობით სიტუაციურად წყვეტს თითოეული ინდივიდი.

7. დუმილი დროში

კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი[22] (დაახლ. 347-407) თავისი ქადაგებებისა და საჯარო გამოსვლების დროს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში ამხელდა როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ ლიდერებს. რა თქმა უნდა, „ეკლესიის მამათაგანი“ არ არღვევდა ანტიკური სიბრძნის დოგმას თავისი ბრწყინვალე ორატორული ხელოვნებით. იგი იზიარებდა ასაკით ყველაზე უფროსი დამფუძნებელი მამის[63] – ბენჯამინ ფრანკლინის (1706-1790) მიერ 20 წლის ასაკში საკუთარი მორალური სრულყოფილებისათვის ჩამოწერილი 13 სათნოებიდან[21] ერთ-ერთის იდეას: „მხოლოდ ის თქვი, რაც სა-

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სარგებლოა სხვათათვის ანდა შენთვის. წვრილმან საუბარს ერიდე“.[51] ასე რომ არ ყოფილიყო, ბიზანტიელი წმინდა მოღვაწე ვერ დაიმსახურებდა მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების პატივისცემას. თუმცა, თავისი ოქროპირობის გამო იოანეს მოშურნე და მტერი არ გამოელია მთელი ცხოვრება და დასავლეთ საქართველოში გადასახლებული აღესრულა 60 წლის ასაკში.[18] ოქროპირისეულ პოზიციას იზიარებს „დავითიანში“ ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი თავისი აფორიზმად ქცეული რიტორიკული კითხვით: „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“.[4] მათ კვალს ადგა წმინდა ილია მართალიც: „წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში ბოროტთ საკლავად“.[19]

აზრის ზუსტად ჩამოყალიბება და კომუნიკაციის ხელოვნება არა მხოლოდ დიპლომატიური კარიერისთვის გამოდგება. რეალურ ცხოვრებასა და ვირტუალურ სამყაროში სიტყვის ძალას ოქრო-ვერცხლზე მეტი, დაახლოებით, პლატინის ღირებულება აქვს. ინტროვერტობას არ გულისხმობს ძველისძველი შეგონება. უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. სწორედ ასე მესმის სოლომონ ბრძენის სახელთან დაკავშირებული გამოთქმის არსი. თუ გაკვეთილის საპასუხოდ გამოძახებული ხმას არ ამოიღებ, მასწავლებელი ასეთ დუმილს ნამდვილად არ შეაფასებს „ოქროდ“. თუმცა, ბავშვობაში ნაკლებად სანერვიულოა პრიორიტეტს რას მივანიჭებთ. ზრდასრულ ადამიანს კი, შესაძლოა, დღეში რამდენჯერმეც მოუწიოს არჩევანის გაკეთება ბრძნულ დუმილსა და ჭკვიანური აზრის გამოთქმას შორის.

დუმილის სპირალი[59] ინდივიდის გამოხატვის თავისუფლებასა და სულიერებას შეიწირავს. ამის ნიმუშს სახარებაც გვთავაზობს: ხალხში შერეულს რომ ამოიცნობენ, წმინდა პეტრე მამლის ყივილამდე სამჯერ უარყოფს ქრისტეს, ვისი ერთგულებისთვისაც მოგვიანებით სიცოცხლეს სწირავს ჯვარზე არა ტრადიციულად, არამედ

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავდაყირა გაკრული, რადგან მაცხოვრის დარად სიკვდილის ღირსადაც არ მიიჩნევს საკუთარ თავს.

ბიბლიაშიც და თანამედროვე ყოველდღიურობაშიც, გამუდმებით ვაწყდებით ამ დიდ დილემას: როდის გაჩუმება სჯობს, როდის ხმის ამოღება. ხშირად ვერც სწორ არჩევანს ვაკეთებთ, ვერც სათანადოდ ვასრულებთ დასახულს. ალბათ, ამიტომაც არ კარგავს აქტუალობას პირამიდებივით ძველისძველი შეგონება: დუმილი ოქროა, მჭევრმეტყველება კი ვერცხლი. დუმილის მნიშვნელობის თაობაზე ვრცელი მსჯელობის შემდეგ, დროა, ქართული ანდაზაც გავიხსენოთ და ანგელოზები ჩამოვატაროთ.[1]

ლიტერატურა ▫ References

1. ანგელოზები ჩამოვატაროთ (23 იანვარი, 2017) – (ძველქართული ხატოვანი გამოთქმა) გაეჩუმდეთ, ხმა არ ამოვიღოთ [იხ.: ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თსუ (https://idioms.tsu.ge)]
2. გიგინეიშვილი მანანა, როდონაია ვახტანგ, გრიგოლაშვილი ლაურა, არაბული ავთანდილ (2017), ქართული ენა და ლიტერატურა: ძველი ქართული მწერლობა (X კლასის სახელმძღვანელო), თბილისი: „სწავლანი“, გვ. 114.
3. გოგებაშვილი იაკობ (2012), ისტორიული მოთხრობები, თბილისი: გამომცემლობა „საბას“ წიგნები“.
4. გურამიშვილი დავით (1787), დავითიანი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
5. დე ვინი ალფრედ (1909), მგლის სიკვდილი. ციტატა: „მხოლოდ დუმილია დიადი, სხვა ყველაფერი სისუსტეა“ [იხ.: ფრანგული პოეზია, ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა, რედაქტორი მ. იორდანიშვილი, თბილისი]. Citation: “Silence is great alone, and all the rest / Is vanity and weakness here below” [იხ.: Alfred de Vigny, *La Mort du loup*, Translated in English by Toru Dutt (1856-1877). In: Dutt, Toru (1880), *A Sheaf Cleaned in French Fields*, London: C. Kegan Paul; *The Death of the Wo*lf, pp. 59-63].
6. ესპანური ანდაზების მცირე კრებული (2011), შემდგენელი შორენა თავბერიძე, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

7. ვარდოსანიძე სერგო (2007), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II, თბილისი.
8. იგავნი სოლომონისნი, ძველი აღთქმა, თავი XXV [იხ.: http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/igavni/igavni-25.htm]
9. მაჩიტაძე ავთანდილ, ებრაული ანდაზები [იხ.: https://trend.ge] [იხ.: https://storybuilder.jumpstart.ge/en/ebrauli-andazebi]
10. მერჩულე გიორგი (951), გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება; თავი XLII: „უმჯობეს დუმილი არს, ვითარცა თქუა იაკობ მოციქულმან, ვითარმედ: „ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო“. და უკუეთუ დუმილი ვერ ძალ ედვას, არა თავით თვისით ქადაგებდეს, არამედ აუწყოს თვისსა ეპისკოპოსსა, და თუ ჯერ იყოს, მან ასწაოს თვისსა სამწყსოსა“ [იხ.: saunje.ge].
11. მსოფლიო კულტურა და ხელოვნება: სასკოლო ლექსიკონი (2011), შემდგ. ნუგზარ ბარდაველიძე; რედ. ლალი მარტველაშვილი, სულხან-საბას საგანმანათლებლო საზოგადოება, თბილისი: „გაზეთ საქართველოს მაცნეს“ სტამბა.
12. რუსთაველი შოთა (2014), ვეფხისტყაოსანი, ტექსტის კომენტარებისა და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე, თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“. Wardrop, Marjory Scott (1912), *The Knight in the Panther's Skin*, Kindle edition; 733: "Sometimes speech is better than silence, sometimes by speaking we spoil (things)".
13. სილაგაძე აპოლონ, ჯავდათ იბრაჰიმ (1989), თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა: ქრესტომათია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
14. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თსუ [იხ.: https://idioms.tsu.ge/?p=11627]
15. ქითაბი – რჯულის წიგნი; წიგნი [იხ.: ზედგინიძე, გიორგი (2014), ჯავახური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „საუნჯე“].
16. შექსპირი უილიამ (1951), რომეო და ჯულიეტა, ვენეციელი ვაჭარი, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა, თბილისი: გამომცემლობა „საბლიტგამი“, გვ. 50; Citation: "How silver-sweet sound lovers' tongues by night, like softest music to attending ears!".
17. წერეთელი გიორგი (2000), არაბული ქრესტომათია ლექსიკონით, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
18. წმინდა იოანე ოქროპირი – კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი, შეადგინა და თარგმნა რუსულიდან ბუაჩიძემ [იხ.: http://www.orthodoxy.ge/tveni/noemberi/13-ioane.htm]
19. ჭავჭავაძე ილია (ოქტომბერი 1861), *** (ჩემო კალამო), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
20. ჯავახიშვილი ივანე (2012), ქართველი ერის ისტორია, ტომი III, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

BRAMS 2020 Nov
Volume 1, Issue 3
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

21. Allan, David G. (1 March 2018), *Ben Franklin's '13 Virtues' path to personal perfection*, CNN.
22. Allen, Pauline and Wendy Mayer (2000), *John Chrysostom*, Routledge.
23. *Archer Taylor, UC professor*, The San Francisco Examiner, 2 October 1973, p. 49.
24. Arms, George (1948), *The Fields Were Green: A New View of Bryant, Whittier, Holmes, Lowell, and Longfellow, with a Selection of Their Poems*, Stanford, California: Stanford University Press.
25. Badridze, Giorgi (26 May 2020), *Independence of Georgia and the Historic Responsibility of Our Generation*, Rondeli Foundation [*Source*: https://www.gfsis.org/blog/view/1074]
26. Blanchard, Ben (14 July 2010), *Tibetan's mother tongue faces tide of Chinese*, Reuters [*Source*: https://www.reuters.com/article/us-china-tibet-language-idUSTRE66D0D320100714]
27. Carlyle, Thomas (2000), *Sartor Resartus: The Life and Opinions of Herr Teufelsdrockh*, University of California Press. ISBN: 978-0520209281
28. Carroll, Lewis (2005), *Alice Through the Looking-Glass*, Illustrated by Helen Oxenbury, Candlewick. ISBN: 978-0763628925
29. Cervantes Saavedra, Miguel de (1615), *Don Quixote of La Mancha* (English text), Volume 2, Chapter 43, p. 584
[*Source*: https://albalearning.com/audiolibros/cervantes/quijote.html]
30. Charteris-Black, Jonathan (1995), '*Still Waters Run Deep' Proverbs about Speech and Silence: A Cross-Linguistic Perspective*, De Proverbio. Vol. 1, No. 2, p. 352.
31. *China issues white paper on history, development of Xinjiang* (Part One), Xinhua News Agency, 26 May 2003.
32. *Coalmining Situation* (13 October 1943), Speaking: The Prime Minister (Winston Churchill), HC Deb, volume 392, cc920-1012, Hansard, United Kingdom Parliament, Commons.
33. Connolly, Margaret (13 January 2014), *Richard Rolle*, In: Oxford Bibliographies, DOI: 10.1093/OBO/9780195396584-0125
34. Dalai Lama (2008), *Freedom in Exile: The Autobiography of the Dalai Lama*, HarperPerennial. ISBN: 978-0060987015
35. Doyle, Arthur Conan (2017), *The Adventure of the Bruce-Partington Plans*, Astounding Stories.
36. Doyle, Arthur Conan (2015), *The Adventure of the Greek Interpreter*, Introduction by Harold Emery Jones, Kindle Edition.
37. Facts On File, Incorporated (2009), *Encyclopedia of the Peoples of Arica and the Middle East, Kingdom of Kurdistan*, pp. 384, 386-387.
38. Federal Research Division (2004), Turkey: A Country Study, Keddinger Publishing. – 392 pages.
39. Feuerstein, G. (1989, May-June), *Silence is golden*, Yoga Journal, 86, pp. 70-71.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

40. Finkel, Caroline (2007), *Osman's Dream: The Story of the Ottoman Empire 1300–1923*, Basic Books. ISBN: 978-0465023974
41. Flexner, Stuart and Doris Flexner (1993), *Wise Words and Wives' Tales: The Origins, Meanings and Time-Honored Wisdom of Proverbs and Folk Sayings Olde and New*, New York, NY: Avon Books.
42. Fontaine, Carole R., *A Modern Look at Ancient Wisdom: The Instruction of Ptahhotep Revisited*, The Biblical Archaeologist 44, No. 3 (1981): 155-60. DOI: 10.2307/3209606
43. Hagen, Fredrik (2012), *An ancient Egyptian literary text in context: the instruction of Ptahhotep*, Orientalia Lovaniensia Analecta 218. Leuven; Paris; Wolpole, MA: Peeters; Department of Oriental Studies.
44. Hampole's commentary on *The Psalter* (Psalm CXVIII, 11), In: Rolle, Richard, of Hampole, tr. (1290?-1349), *The Psalter, or Psalms of David and certain canticles*, Bramley, Henry Ramsden, ed., 1833-1917. Citation: "Forthi disciplyne of silence is goed, that we auyse vs or we speke". იგივე ნაწყვეტი ქართულად ასეა თარგმნილი: „გულსა შინა ჩემსა დავიფარენ სიტყუანი შენნი, რათა არა შეგცოდო შენ (ახალი ქართულით: გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდო)" (ფსალმუნნი, 118:11).
45. Hösle, Vittorio (2018), *A Short History of German Philosophy*, Translated by Steven Rendall, Princeton, NJ: Princeton University Press.
46. Houston, Christopher (2008), *Kurdistan: Crafting of National Selves*, Indiana University Press, p. 52. ISBN: 0-253-22050-5
47. Jacq, Christian (1999), *The Living Wisdom of Ancient Egypt*, Simon & Schuster; p. 76. ISBN: 0-671-02219-9
48. Jente, Richard (1932), *The American Proverb*, In: American Speech, 7 (5): 342-348. ISSN: 0003-1283. DOI: 10.2307/452956
49. Kumar, Anand (25 January 2020), *'Tibet holds strategic and cultural importance to India'*, TNN, The Times of India.
50. Lowell, James Russell (2007), *The Biglow Papers*, Edited by Thomas Hughes, Perlego. ISBN: 970-0000022680
51. McKay, Brett and Kate (24 February 2008), *Lessons in Manliness: Ben Franklin's Pursuit of the Virtuous Life*, In: *A Man's Life, Featured, Lessons In Manliness, On Virtue, The Virtuous Life*; Citation: "Speak not but what may benefit others or yourself; avoid trifling conversation".
52. McSweeney, Eoin, and Julia Horowitz (23 July 2020), *Silver prices outshine gold to hit seven-year high*, CNN Business.
53. Mitchell, Colin Paul (2010), Kurdistan, In Bjork, Robert E. (ed.), *The Oxford Dictionary of the Middle Ages*, Oxford University Press.
54. Morales, Pierre Marie Mouronval (2017), *Refranero: refranes y expresiones populares* (Spanish Edition), 1st Edition, CreateSpace Independent Publishing Platform. – 306 pages. ISBN: 978-1542847773

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

55. Özoğlu, Hakan (2004), *Kurdish Notables and the Ottoman State: Evolving Identities, Competing Loyalties, and Shifting Boundaries*, SUNY Press, pp. 25. ISBN: 978-0-7914-5993-5
56. Ibid. pp. 60-63.
57. *Peaceful Liberation of Tibet* (16 June 2017), Xinhua News Agency.
58. Pellat, Charles (1990), *Al-Jahiz*, In: Ashtiany, Julia; Johnstone, T.M.; Latham, J.D.; Serjeat, R.B.; Rex Smith, G. (editors), *Abbasid Belles Lettres*, Cambridge, UK: Cambridge University Press, p. 81. ISBN: 978-0521240161
59. Petersen, Thomas (2008), *Spiral of silence*, In: *Encyclopedia of Political Communication*, Britannica. დუმილის სპირალის თეორია (გერმ. Schweigespirale, ინგლ. spiral of silence) გერმანელმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა ელიზაბეტ ნოელ-ნოიმანმა (1916-2010) შექმნა 1960-1970-იან წლებში. ამ თეორიის მიხედვით, თუ ადამიანი ფიქრობს, რომ მისი აზრი საზოგადოებრივად მიუღებელია, შეიძლება თავი შეიკავოს მისი საჯაროდ თქმისგან და დუმილი ამჯობინოს. თუ ინდივიდის მოსაზრება მასაში პოპულარულ იდეას ემთხვევა, შესაძლოა, ამიტომ გაუჩნდეს მისი სახალხოდ თქმის სურვილი. დუმილის სპირალის კონცეფციას საფუძვლად უდევს ინდივიდის საზოგადოებისგან იზოლაციის, თემიდან გარიყვის ანდა უმცირესობაში აღმოჩენის შიში. დუმილის სპირალის თეორია პოლიტოლოგიასა და მასკომუნიკაციაშია განსაკუთრებით აქტუალური.
60. Romano, David (2006), *The Kurdish Nationalist Movement: Opportunity, Mobilization and Identity*, Cambridge Middle East studies, 22. Cambridge, UK: New York: Cambridge University Press, p. 227.
61. Simpson, W.K., ed. (1986), *The Maxims of Ptahhotep*, Las Vegas, Nevada: Evan Blythin.
62. Shen Tastogi, Nina (28 March 2008), *Why Does China Care About Tibet?*, Slate.
63. Shontell, Alyson (5 July 2014), *Many Founding Fathers Were Shockingly Young When the Declaration of Independence Was Signed In 1776*, Business Insider.
64. Somel, Selçuk Akşin (2003), *Historical Dictionary of the Ottoman Empire*, Scarecrow Press Inc., p. 306.
65. Stefon, Matt (21 May 2015), *Solomon: King of Israel*, Encyclopaedia Britannica.
66. Tan, Weizhen (4 August 2020), *Gold just hit a fresh record high – but some say silver is set to overtake*, CNBC.
67. The Callan Method (https://callan.co.uk).
68. *The Christmas Chronicles 2* (2020, director – Chris Columbus, writers – Matt Lieberman, Chris Columbus).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

69. *The Closure of Tibet* (Part V), In: China's Forbidden Zones: Shutting the Media Out of Tibet and Other "Sensitive" Stories, Human Rights Watch, 2008. [*Source*: https://www.hrw.org/reports/2008/china0708/5.htm]
70. *The Instruction of Ptah-hotep and the Instruction of Ke'gemni: The oldest books in the world* (2017), Translated from the Egyptian with an introduction and appendix by Battiscombe Gunn, Edited by L. Cranmer-Byng and Dr S.A. Kapadia, Andesite Press. ISBN: 978-1376200515
71. *The Kurdish population*, Les Kurdes, Institut Kurde de Paris [*Source*: https://www.institutkurde.org/en/info/the-kurdish-population-1232551004]
72. The Oxford Dictionary of Phrase and Fable (2006), Oxford University Press. Citation: "discretion can be more valuable than the most eloquent words".
73. *Tibet profile* (26 April 2019), BBC News [*Source*: www.bbc.com]
74. Titelman, Gregory Y. (1996), *Random House Dictionary of Popular Proverbs and Sayings*, New York, NY: Random House.
75. Vanly, Ismet Chérif, and Ismet Cheriff Vanly (1977), Coup d'oeil sur la culture nationale Kurde, *Oriente Moderno*, 57 (9/10), Settembre-Ottombre 1977, Published by: Instituto per l'Oriente C. A. Nallino; pp. 445-450. ISSN: 0030-5472
76. Vijayaraghavan, K. (13 December 2010), *Speech is silver, silence is golden*, The Economic Times.
77. Wasserstein, David J. (1999), *A West-East Puzzle: On the History of the Proverb 'Speech in Silver, Silence in Golden'*, pp. 241, 244-247; In: Albert Arazi; Joseph Sadan; David J. Wasserstein (editors), *Compliation and Creation in Adab and Luga: Studies in Memory of Naphtali Kinberg (1948-1997)*, Eisenbrauns. ISBN: 978-1-57506-045-3
78. *Who are the Kurds?* (15 October 2019), BBC [*Source*: www.bbc.com]
79. Windfuhr, Gernot (1975), Isoglosses: A Sketch on Persians and Parthians, Kurds and Medes, Monumentum H.S. Nyberg II (Acta Iranica-5), Leiden: 457-471.
80. Wycliffe, John (tr.) and John Purvey (tr.) (2001), *The Wycliffe Bible: John Wycliffe's Translation of the Holy Scriptures from the Latin Vulgate*, Lamp Post Inc. – 1050 pages. ISBN: 978-1600391026
81. Wycliffe, John (tr.) and John Purvey (tr.) (2001), *Wycliffe's Old Testament (1384)*, Terence P. Noble (Editor and Publisher), Vancouver, Canada: Terence P. Noble – 1531 pages. ISBN: 0-9697670-3-X
    Wycliffe, John (tr.) and John Purvey (tr.) (2001), *Wycliffe's New Testament (1384)*, Terence P. Noble (Editor and Publisher), Vancouver, Canada: Terence P. Noble – 1091 pages. ISBN: 0-9697670-2-1
82. Yadirgi, Veli (3 August 2017), *The Political Economy of the Kurds of Turkey*, Cambridge University Press, p. 96. ISBN: 978-1107181236
83. Ibid. p. 130.
84. Yilmaz, Harun (3 September 2014), *The Rise of Red Kurdistan*, Iranian Studies, 47(5): 799–822. DOI:10.1080/00210862.2014.934153. ISSN: 0021-0862

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)